



დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 1-09/14, 29.05.2014

ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ზუნება“

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური	მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
2	პრატიკა დასახელება	საწარმოო პრაქტიკა
3	პრაქტიკის ხანგრძლივობა	1 კრედიტი 25 საათი. სასწავლო კურსი 9,6 კრედიტი - 240 სთ. აქედან პრაქტიკული მუშაობა 225 სთ, გამოცდა 15 სთ: სულ 6 კვირა
4	პრაქტიკის შინაარსი	პრაქტიკული კურსი მოიცავს პროფესიული სტუდენტისათვის დაავადებათა სპეციფიკისა და მიმდინარეობის გათვალისწინებით მასაჟის შესწავლას უშუალოდ პაციენტის საწოლთან ამბულატორიის, სტაციონარის და სხვა პირობებში; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უზრუნველსაყოფად პროფესიული სტუდენტი მონაწილეობას იღებს სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან ერთად მთელ სამუშაო პროცესში. შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა - გააზრება და საჭირო ინფორმაციის დროული და ადექვატური გამოყენება; პაციენტისათვის ჯანმრთელობის დაცვის სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღება. პაციენტთან ქცევის ეთიკური ნორმების დემონსტრირება - სწავლება და ზოგადად ავადმყოფ ადამიანთან სწორი მიმართების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ბინის პირობებში ცოდნის ეფექტიანი გამოყენება, კრიტიკულ სიტუაციაში ადექვატური და პაციენტის მიმართ კეთილგანწყობილი ქცევა.
5	მიზანი	პრაქტიკული კურსის მიზანია პროფესიულ სტუდენტს შეასწავლოს პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული თემატიკის გაცნობიერების შემდეგ, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის მისაღწევად, შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული დავალებები ავადმყოფის სამედიცინო მასაჟის ძირითადი კონცეპციების, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე დაეუფლოს მასაჟისთვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების სწორი გამოყენების ტექნიკას სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. მთელი საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტი თავის მეგობრებსა და ხელმძღვანელთან ერთად მუშაობის დროს სწავლობს სწორი ურთიერთობის წარმართვას პაციენტთან და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან.
6	შესწავლის წინაპირობები	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების და სასწავლო პრაქტიკა.
7	სასწავლო საკმინაობა და სწავლის მეთოდები	საუბარი, უშუალოდ პაციენტის საწოლთან ქმედება, ცალკეული შემთხვევის განხილვა/შეფასება; პრაქტიკული დავალებების შესრულება, მასწავლებლის მიერ მათი შეფასება და ხარვეზების განხილვა, ჯგუფური მუშაობა.
8	შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები	მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, შუალედური შეფასება 60 ქულა. აქედან, 4 ჯერ 0-12 ქულა - პრაქტიკული დავალების შესრულების ხარისხის; სულ 0-48, შუალედური შეფასების გამოცდა 0 - 12 ქულა, საიდანაც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 6 ქულა გამოცდა ჩაბარებულად რომ ჩაეთვალოს. კრიტერიუმებია: 0-3 ქულა



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ზუნება“

		<p>ავადმყოფის საწოლთან მოქცევის უნარ-ჩვევები, 0-6 ქულა მასაჟის პრაქტიკული განხორციელება; პაციენტის მდგომარეობის შეფასება 0-3 ქულა.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ შუალედური შეფასების გამოცდის ჩათვლით 30 ქულა. დასკვნით გამოცდაზე პროფესიული სტუდენტი შეფასდება იგივე კრიტერიუმებით, როგორც შუალედური შეფასების გამოცდაზე.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81 - 90%;</p> <p>ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 70 - 80%;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61 - 70%;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 50 - 60%;</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41 - 50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>
9	სასწავლო რესურსი	<p>➤ შესაბამისად აღჭურვილი სტაციონარი, ამბულატორია; გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე არსებული სამედიცინო დაწესებულებები;</p> <p>➤ გამართული შინამოვლის სამსახური თავისი ბიუროთი და მომუშავე პერსონალით</p>
10	სწავლის შედეგები	<p>სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.)</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია: სანიტარული და ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით მუშაობა. სტაციონარში და ბინის პირობებში მასაჟის ჩატარება ასეპტიკისა და ანტისეპტიკის გათვალისწინებით, სამასაჟო ღონისძიების ჩატარება პაციენტის ასაკისა და დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე. საჭირო ინფორმაციის მოძიება და გამოყენება. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სწორად გადმოტანა. კომპეტენციის ფარგლებში დროული და სწორი გადაწყვეტილების მიღება. კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან მოსმენილის გააზრება, საჭიროებისას დაზუსტება. პაციენტის მიმართ კეთილგანწყობილობის უნარი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.</p>
11	პრაქტიკის ხელმძღვანელები	<p>ლალი ზაუტაშვილი - ლიმფოლოგი, რიტმული მასაჟის სპეციალისტი, ტელ.: 599 202495, E-Mail: lalizautashvili@yahoo.com</p> <p>თამარ მოსულიშვილი - სამკურნალო მედიცინისა და რეაბილიტაციის ექიმი-სპეციალისტი, ტელ.: 599556372;</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

	უჩა ნებიერიძე ექიმი-რეაბილიტოლოგი, სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი, ტელ.: 577 520001, E-mail: ucha13@gmail.com ; ბექარ ჯოხაძე - სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია, ტელ.: 995 551 638322
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით			
სასწავლო პერიოდი	საათების რაოდენობა/აქტივობა	თემის დასახელება	სასწავლო რესურსი
1 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა კლინიკაში/შეფასება 40 საათი	სტაციონარში სტრუქტურის, შინაგანაწესისა და სამუშაო განრიგის გაცნობა; ჰიგიენური ნორმების დაცვით და კომპეტენციის ფარგლებში მასწავლებლის მიერ მიცემული დავალების პრაქტიკული შესრულება - უშუალოდ პაციენტთან და სამედიცინო გუნდის წევრებთან ურთიერთობა ეთიკური ნორმების დაცვით.	სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი - მედიგარდი
2 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა კლინიკაში/შეფასება, 40 საათი	თერაპიული პაციენტის (მოზრდილი) მოვლა დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. სასიცოცხლო მაჩვენებლების კონტროლი, ექიმის დანიშნულების შესრულებაზე თვალყურის დევნება, მოვლითი ღონისძიებების ჩატარება მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ.	სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი - მედიგარდი
3 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა/შეფასება კლინიკაში - 40 სთ,	პედიატრიული მასაჟი, მასთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება. სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მასაჟი დაავადების სირთულის გათვალისწინებით.	ბაკურ კოტეტიშვილის ფსიქონევროლოგიური კლინიკა
4 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა კლინიკაში 38 საათი; შუალედური შეფასების გამოცდა 2სთ	რიტმული მასაჟის შესრულება-დაკვირვება	შპს „თერაპიის სახლი“
5 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა კლინიკაში/შეფასება, 40 სთ,	მანუალური თერაპია მასაჟის სისტემაში- პრაქტიკული შესრულება; სამკურნალო მასაჟი კლასიკური (შვედური) მასაჟის ჭრილში; მასაჟის რთული ილეთების შესრულება;	შპს „თერაპიის სახლი“
6 კვირა	პრაქტიკა - პაციენტის საწოლთან მუშაობა კლინიკაში, 27 სთ.	სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდის გამოყენებით პრაქტიკული სამუშაოს შესრულება. კინეზოთერაპიული ღონისძიებების პრაქტიკული შესრულება.	შპს „თერაპიის სახლი“



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

	დასკვნითი წერითი გამოცდა 5 საათი		
	დასკვნითი ზეპირი გამოცდა 8 საათი		

ხელმოწერა: